ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1442615

ნომერი: AR1244019

თარიღი : 13.08.2014

გაცემის თარიღი : 04.09.2014

გაცნობის თარიღი : 10.09.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩოლოყაშვილი , N 48 ა / ქალაქი თბილისი , ჩიხი ჩოლოყაშვილი III , N 4 , (ნაკვეთი N60/30) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ჯემალ მიმინოშვილი პ/ნ 01024012274
- თბილისი ალ.ყაზბეგის გამზ. N 11ა ბ. 16

ორგანიზაცია:
- ი.ბ.ა. "ორთაჭალა-2006" კოდი: 206330406

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1187221 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე
ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 13 აგვისტოს #AR1244019 განცხადებით მომართა ჯემალ მიმინოშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1187221 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 25 მარტის #1187221 ბრძანებით, ქ. თბილისში, სექტორი (ისანი), ჩოლოყაშვილის ქ. #48ა-ში, ჩოლოყაშვილის ჩიხი III, #4-ში, (ნაკვეთი 60/30)-ში შეთანხმდა არსებულ შენობაზე დაშენების არქიტექტურული პროექტი.

დღეისათვის, განმცხადებელი ითხოვს ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანას. განმცხადებლის მითითებით, იცვლება საცხოვრებელი (ნაცვლად 462.7 კვ.მ–სა უნდა იყოს 558.8 კვ.მ.) და საზაფხულო (ნაცვლად 228.7 კვ.მ–სა უნდა იყოს 344.6 კვ.მ.) ფართობები. ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებს, აგრეთვე, ემატება სადარბაზოსა და კიბის უჯრედის (218.7 კვ.მ) ფართობი. გამომდინარე აქედან, იცვლება საერთო ფართობიც, რომლის ციფრობრივ მაჩვენებლეს შეადგენს 1122.1 კვ.მ. ნაცვლად 691.4 კვ.მ–სა.

სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად მითითებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები აისახა სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში. დღეისათვის წარმოდგენილია გასწორებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და გეგმა–ნახაზები, რომლის ექსპლიკაციებში დატანილია ფართობების გასწორებული ციფრობრივი მაჩვენებლები. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიიჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1.დაკმაყოფილდეს ჯემალ მიმინოშვილის 2014 წლის 13 აგვისტოს #AR1244019 განცხადება.

2.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1187221 და ტექნიკურ – ეკონომიკურ მაჩვენებლებში საერთო, საცხოვრებელი, საზაფხულო, სადარბაზოსა და კიბის უჯრედის ფართობები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

- საერთო ფართობი: 1122.1 კვ.მ.
- საცხოვრებელი ფართობი: 558.8 კვ.მ.
- საზაფხულო ფართობი: 344.6 კვ.მ.
- კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი: 218.7 კვ.მ

3.საპროექტო დოკუმტაციას დაერთოს 2014 წლის 13 აგვისტოს #AR1244019 განცხადებაზე თანდართული გეგმა–ნახაზები.

4.ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1187221ბრძანება სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელი;

5.წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 25 მარტის #1187221 ბრძანებასთან ერთად;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის. შარტავას ქ. N7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.